

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი #10

ქ. ონი

27. 09. 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ანა ბაქრაძე, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბალაშვილი, დიმიტრი გომაძე, დავით სხირტლაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, შორენა რეხვიაშვილი, გელა მეტრეველი, აველ ორდინიძე, ირმა სტეფანაძე-იაშვილი, ალექსანდრე ბერიშვილი.

**არ ესწრებოდა 7 წევრი:** დავით მეტრეველი, ღვთისაგარ ბაკურაძე, გიორგი მარკოიშვილი, კესო ჩარკვიანი, ნოდარ ბურდილაძე, ბექარი მაისურაძე, როზა ჩალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი ირმა მაისურაძე, ეკონომიკის სამსახურის უფროსი დავით რაზმაძე, აიპ სამხატვრო სკოლის დირექტორი ელენე მაგრაქველიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

2. ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ..

მომხსენებელი: ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

3. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ საკაოში მდებარე 1599,0კვ.მ (ს/კ88. 07. 010) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის

წესით აღნაგობის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით რაზმაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების და წყალმომარაგების მდგომარეობის და პრობლემების შესახებ.

მომხსენებელი: გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

6. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და ა(ა)იპ სამხატვრო სკოლაში განეული მუშაობისა და არსებული პრობლემების შესახებ.

მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ბიუროს სხდომაზე ბიუროს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს:** 2. ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირმა მაისურაძე-მერიის იურიდიული განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ პროექტში არის გარკვეული ხარვეზები, გაუმართავია ტექსტობრივად, პროცედურულად და საჭიროებს დახვეწას. ი. სტეფნაძე-იაშვილმა აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგია და მხარს არ უჭერს წარმოდგენილ პროექტს, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული პროექტით წარმოდგენილი სანქციები დღევანდელი სოციალური პირობების გათვალისწინებით ზედმეტად მკაცრი და მძიმეა, ასევე, აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირებულობა პირუტყვისთვის აკრძალული ტერიტორიების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-25, წინააღმდეგი-1

**გადაწყდა:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ.

**მოისმინეს:** 3. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ საკაოში მდებარე 1599,0კვ.მ (ს/კ88. 07. 010) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით აღნაგობის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით რაზმაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ საკაოში მდებარე 1599,0კვ.მ (ს/კ88. 07. 010) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით აღნაგობის

უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს:** 4. ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების და წყალმომარაგების მდგომარეობის და პრობლემების შესახებ.

მომხსენებელი: გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების და წყალმომარაგების მდგომარეობის და პრობლემების შესახებ.

**ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.**

**მოისმინეს:** 5. ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

გ. მეტრეველმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

**ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.**

**მოისმინეს:** 6. განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და ა(ა)იპ სამხატვრო სკოლაში განეული მუშაობისა და არსებული პრობლემების შესახებ.

მომხსენებელი: სონია გუგუშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და ა(ა)იპ სამხატვრო სკოლაში განეული მუშაობისა და არსებული პრობლემების შესახებ.

**ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.**

შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე. ა. ორდინიძემ აღნიშნა, რომ სოფ. ღარში ელექტროენერჯის ძაბვის ვარდნის გამო რამდენიმე ოჯახს გაუფუჭდა საოჯახო ტექნიკა და მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა დაზარალებული მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, რის შემდეგაც საკრებულო მიმართავს შესაბამის ზომებს.

ვ. ჩლაიძემ ისაუბრა ბარი-მრავალძლის გზის მშენებლობის არადაამაკმაყოფილებელ ხარისხსა და მიმდინარეობაზე.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**შუქურა ჯაფარიძე**

საკრებულოს თავმჯდომარე

